1985

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო
ყველა
ქვეყნისა,
შეერთდით!

საქართველოს
საბჭოთა
სოციალისტური
რესპუბლიკის

№ 6

1985

უმაღლესი საბჭოს
უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 6 (478) ივნისი 1985 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

213. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

214. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში დამატების შეტანის შესახებ.

განყოფილება მეორე

215. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

216. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რესპუბლიკის საარქივო დაწესებულებათა მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

217. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. ი. ბერიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

218. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

219. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

220. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

221. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

222. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. დ. ცალქალამანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

223. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ო. ქ. კაციტაძ[illegible] საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოებ[illegible] შესახებ.

224. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ა. საყვარელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

225. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯლდოების შესახებ.

226. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. მ. აბასოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

227. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. ნ. ალელიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

228. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ა. გაბიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

229. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. კ. დ. კავსაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

230. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. კ. კელენჯერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

231. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ზ. პ. ლეჟავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

232. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ვ. მჟავანაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯლდოების შესახებ.

233. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ნ. სლოვინსკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

234. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ჯ. შ. ბლიაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

235. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ს. გიორგაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

236. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. ქ. დუმბაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

237. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ს. ე. თურნავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

238. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ს. ი. ჟღენტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

239. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. დ. ფანცხავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

240. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. გ. ქვლივიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

241. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. ი. ქარქაშაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

242. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. რ. ი. ავალიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

243. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ლ. გ. ჯავახიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

244. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. ვ. კუნჭულიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

245. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ო. ს. ცანავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განკოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

213 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების რესპუბლიკური კომისია შემდეგი შემადგენლობით:

კომისიის თავმჯდომარე

ჩერქეზია ოთარ ევტიხის ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

ქინქლაძე ოთარ დანიელის ძე — საქართველოს სსრ განათლების მინისტრი.

კომისიის პასუხისმგებელი მდივანი

ჩიბურდანიძე გიორგი ფილიპეს ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანაშემწე.

კომისიის წევრები:

ამონაშვილი შალვა ალექსანდრეს ძე — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

ბადურაშვილი თეიმურაზ გიორგის ძე — საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი.

გვეტაძე გურამ ივანეს ძე — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი.

გოგლიძე რამაზ ანატოლის ძე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

კვაჭაძე ზინაიდა არსენის ასული — საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს მდივანი.

ლეჟავა გელა გიორგის ძე — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი.

მარგველიძე ჯემალ ვარდენის ძე — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

ჟვანია ნინო აქვსენტის ასული — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.

საქ. სსრ კ. მარქსის

ულენტი თემურ გიორგის ძე — თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სახლის დირექტორი.

რიგვავა სერგო ტარასის ძე — საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

შავგულიძე თამაზ გრიგოლის ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე.

ჩხიკვიშვილი დავით იოსების ძე — საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი.

ჯაფარიძე რუსუდან ალექსანდრეს ასული — საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 17 ივნისი.
№ 124—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

214 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში დამატების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაემატოს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს შემდეგი შინაარსის 246[1] მუხლი:

„მუხლი 246[1]. გაზის ქსელების დაცვის წესების ან გაზით სარგებლობის უსაფრთხოების წესების დარღვევა

გაზის ქსელების დაცვის წესების ან მოსახლეობის მიერ გაზით სარგებლობის დროს უსაფრთხოების წესების დარღვევა, ჩადენილი ასეთივე დარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის ზომების შეფარდების შემდეგ, —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამდე ან ჯარიმით ორას მანეთამდე.

იგივე ქმედობა, რასაც არსებითი ზიანი მოჰყვა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით სამას მანეთამდე.

იგივე ქმედობა, რასაც სიკვდილი ან სხეულის მძიმე დაზიანება მოჰყვა, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ხუთ წლამდე“.

2. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 246[1] მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებს წინასწარ გამოძიებენ პროკურატურის ორგანოების გამომძიებლები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 25 ივნისი.
№ 148—XI

განყოფილება მეორე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

215 მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ხანძრის ჩაქრობისას გამოჩენილი გამბედაობის, მამაცობისა და თავგანწირვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის“** დაჯილდოვდნენ:

ილჩუკი პეტრე ანდრიას ძე — სახანძრო რაზმის განყოფილების მეთაური.

კირკიტაძე იოსებ მიხეილის ძე — ქუთაისის შინაგან საქმეთა საქალაქო სამმართველოს სახანძრო დაცვის განყოფილების ხანძრის ჩაქრობის სამორიგეო სამსახურის ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელის უფროსი თანაშემწე.

მედვედევი ვლადიმერ ალექსის ძე — სახანძრო რაზმის უფროსი.

ულენტი ლენგო გიგლოს ძე — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამტრედიის სახანძრო დაცვის საქალაქო სამმართველოს პროფესიული სახანძრო ნაწილის მეხანძრე.

ღვინიაშვილი გივი ივანეს ძე — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამტრედიის სახანძრო დაცვის საქალაქო სამმართველოს პროფესიული სახანძრო ნაწილის მეხანძრე.

ხამზინი ანატოლი ივანეს ძე — სახანძრო ავტომანქანის მძღოლი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი 1985 წლის 24 ივნისი.
№ 136—XI

ეროვნული

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

216 რესპუბლიკის საარქივო დაწესებულებათა მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის საარქივო დაწესებულებებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი“**:

კიკაბიძეს არჩილ იპოლიტეს ძეს — ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის დირექტორს.

სიბაშვილს გიორგი რაჟდენის ძეს — საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივის გურჯაანის ფილიალის მეორე კატეგორიის არქივარიუსს.

ქურთიაშვილს არტემ ზაქარიას ძეს — თბილისის სახელმწიფო არქივის ამკინძავ-რესტავრატორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი 1985 წლის 11 ივნისი.
№ 122—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

217 ამხ. თ. ი. ბერიძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მედგანყოფილების სამხედრო-საექიმო კომისიის ექიმს ამხ. თამაზ ივანეს ძე **ბერიძეს** მიენიჭოს საპატიო წოდება **„საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი“.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი 1985 წლის 24 ივნისი.
№ 138—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

218 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“

ლებანიძეს ვლადიმერ დიმიტრის ძეს — ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

ლუტიძეს ბიძინა ივანეს ძეს — კათედრის გამგეს, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

ფალავას კონსტანტინე ყარამანის ძეს — ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

ფირცხალავას ნოე იოსების ძეს — კათედრის გამგეს, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

შარიქაძეს სავლე ერემიას ძეს — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

„საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი“

გარსევანიშვილს ელისაბედ დავითის ასულს — დოცენტს.
მხეიძეს თამარ სევერიანის ასულს — დოცენტს.
შენგელიას ივანე დიმიტრის ძეს — დოცენტს.
ჭიჭინაძეს მიხეილ ნიკოლოზის ძეს — დოცენტს.
ჭკუასელს ივანე გრიგოლის ძეს — დოცენტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 26 ივნისი.
№ 152—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

219 საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

კვალიფიციური კადრების მომზადებასა და მეცნიერების განვითარებაში დამსახურებისათვის საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის თანამშრომლებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე"

დარჩიას გივი ილიას ძეს — კათედრის გამგეს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

ტოტოჩავას კონსტანტინე ვასილის ძეს — კათედრის გამგეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

ჩიხლაძეს გიორგი ევსევის ძეს — დეკანს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს.

„საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი"

აგლაძეს ანასტასია ვლადიმერის ასულს — უფროს მასწავლებელს.
ბარკალაიას ზურაბ აკაკის ძეს — დეკანის მოადგილეს.
გაჩეჩილაძეს გივი დოსიფეს ძეს — დოცენტს.
გელოვანს თამარ ნიკოლოზის ასულს — უფროს მასწავლებელს.
დურგლიშვილს ნიკოლოზ იაგორის ძეს — დოცენტს.
კობახიძეს ნელი ნიკოლოზის ასულს — უფროს მასწავლებელს.
მანელაშვილს მარინა ალექსანდრეს ასულს — უფროს მასწავლებელს.
მაცაბერიძეს ილია ისიდორეს ძეს — დოცენტს.
უფლისაშვილს ჯუმბერ მაკარის ძეს — კათედრის გამგეს.
ჭიპაშვილს როზა შალვას ასულს — უფროს მასწავლებელს.
ხარაიძეს პახუმ ვლასის ძეს — დოცენტს.
ხორავას მარიამ ზაქარიას ასულს — დოცენტს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი"

ლოსაბერიძეს არჩილ გობრონის ძეს — დოცენტს.

„საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი"

ჩიჟიკოვას მარიამ სიმონის ასულს — უფროს მასწავლებელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 26 ივნისი.
№ 151—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

220 რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკი“

იაკობიძეს ალექსანდრე ილიას ძეს — საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის საპროექტო ინსტიტუტ „საქსახმიწპროექტის“ მთავარ ნიადაგმცოდნეს.

ჩიქოვანს შალვა სამსონის ძეს — საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის მთავარი სამმართველოს უფროსს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი“

კირვალიძეს ქიტესა იოსების ძეს — თელავის რაიონის კისისხევის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორს.

ლომიძეს ტარიელ ლევანის ძეს — საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის მთავარი სამმართველოს განყოფილების წამყვან აგრონომს.

ურუშაძეს უჩა დიმიტრის ძეს — სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგეს.

ჩიგოგიძეს ალექსანდრე ირაკლის ძეს — საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის მთავარი სამმართველოს განყოფილების მთავარ აგრონომს.

ჩხაბერიძეს შოთა კონსტანტინეს ძეს — წყალტუბოს მებოსტნეობის საცდელი სადგურის დირექტორის მოადგილეს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ვეტერინარი ექიმი“

თურვანდიშვილს სიმონ ალიოზის ძეს — საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის ექსპერიმენტული ქარხნის დირექტორის მოადგილეს.

რაზმაძეს ხარიტონ ალექსანდრეს ძეს — საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის რესპუბლიკური სავეტერინარო ლაბორატორიის განყოფილების უფროს ვეტერინარ ექიმს.

ცაკანიანს გენრიხ ხორენის ძეს — ბოლნისის რაიონის მთავარ ვეტერინარ ექიმს.

ცომაიას ვლადიმერ სიმონის ძეს — საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის რესპუბლიკური სავეტერინარო ლაბორატორიის განყოფილების გამგეს.

ციხიშვილს სერგო არტაშის ძეს — საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის რესპუბლიკური სავეტერინარო ლაბორატორიის განყოფილების უფროს ვეტერინარ ექიმს.

წულუკიძეს კონსტანტინე ალექსანდრეს ძეს — ქ. ბორჯომის სავეტერინარო სადგურის მთავარ ვეტერინარ ექიმს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი“

გოგილოვს იოსებ ლაზარეს ძეს — პენსიონერს.

გოცირიძეს გრიგოლ გალაქტიონის ძეს — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრის დოცენტს.

ფეიქრიშვილს გიორგი გრიგოლის ძეს — საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის კათედრის დოცენტს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი“

ადეიშვილს გიორგი კარაპეზის ძეს — სამტრედიის რაიონის დიდი ჯიხაიშის ნ. ნიკოლაძის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მასწავლებელს.

ჩაგუნავას ნოე სოფრომის ძეს — საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის სამმართველოს განყოფილების უფროსს.

ხუსკივაძეს ზაალ ალექსანდრეს ძეს — ცხაკაიას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მასწავლებელს.

საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორი“

შარანგიას ვალერიან ბეგლარის ძეს — რესპუბლიკური გაერთიანება „საქსაკოლმეურნმშენის“ საპროექტო ინსტიტუტ „საქკოლმპროექტის“ განყოფილების უფროსს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“

გახარიას ლევთერ თედოს ძეს — ზუგდიდის რაიონის რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილეს.

ლომიძეს შალვა პროკოფის ძეს — საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის მექანიზაციისა და სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების სპეცტრესტის განყოფილების უფროსს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტი“

ბიბილაშვილს ბიძინა კონსტანტინეს ძეს — საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის სამმართველოს უფროსს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ბუღალტერი“

ასლანიშვილს ვასილ არშაკის ძეს — საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის განყოფილების უფროს რევიზორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშჭარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 28 ივნისი.

№ 160—XI

221 თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და აქტიური საზოგადოებრივი მუშაობისათვის თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის თანამშრომლებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“

გვიშიანს ნიკოლოზ სარდიონის ძეს — კათედრის გამგეს, პროფესორს.

„საქართველოს სსრ უმაღლესი სკოლის დამსახურებული მუშაკი“

არახამიას შოთა გიორგის ძეს — დოცენტს.
ახვლედიანს მარინე ალექსანდრეს ასულს — უფროს მასწავლებელს.
დიდებულიძეს მედეა ვასილის ასულს — კათედრის გამგეს.
თოლორაიას დიანა დავითის ასულს — უფროს მასწავლებელს.
კეჭაღმაძეს თამარ გრიგოლის ასულს — უფროს მასწავლებელს.
ლეონიძეს თამარ ალექსანდრეს ასულს — უფროს მასწავლებელს.
მღებრიშვილს ანასტასია დავითის ასულს — სასწავლო ნაწილის გამგეს.
მჭედლიშვილს ჯუანშერ იოსების ძეს — დოცენტს.
ნაჭყებიას ლუსიენ ბაგრატის ძეს — დოცენტს.
ტერელაძეს ნათელა შალვას ასულს — დეკანს.
ქადაგიშვილს თინა გრიგოლის ასულს — განყოფილების უფროსს.
ცისკარიშვილს ნინო პეტრეს ასულს — უფროს მასწავლებელს.
ცხვედაძეს მარგარიტა ნიკოლოზის ასულს — უფროს მასწავლებელს.
ხახაშვილს შალვა ივანეს ძეს — კათედრის გამგეს.
ხახანაშვილს ზეინაბ ლუარსაბის ასულს — უფროს მასწავლებელს.
ჯინჯიხაშვილს ფეიგა არონის ასულს — დოცენტს.
ჯიშიაშვილს ალექსანდრე პავლეს ძეს — დოცენტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 28 ივნისი.
№ 161—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

222 ამხ. გ. დ. ცალქალამანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან ეკონომიკური კავშირურთიერთობის საკითხთა კომისიის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. გრიგოლ დიმიტრის ძე **ცალქალამანიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 7 ივნისი.

№ 118—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

223 ამხ. ო. ქ. კაციტაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ბეჭდვითი სიტყვის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ მთავარი რედაქტორი ამხ. ოთარ ქრისტეფორეს ძე **კაციტაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 11 ივნისი.

№ 120—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

224 ამხ. გ. ა. საყვარელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, თბილისის სახელმწიფო **უნივერსიტეტის** პედაგოგიკის **კათედრის** პროფესორი **გიორგი** არკადის ძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყვარელიძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 11 ივნისი.
№ 121—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

225 რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ:

ასრატიანი იური მიკიჩის ძე — თბილისის № 35 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილე.

ბზიშვილი ნუნუ ზაქარიას ასული — პროფესიულ-ტექნიკური განათლების რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის დირექტორის მოადგილე.

ბრავნიკი ლეონიდ იაკობის ძე — ცხინვალის № 1 სპეციალური პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის უფროსი ოსტატი.

ეპიტაშვილი გულსუნდა მიხეილის ასული — მარტყოფის № 115 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელი.

თეიმურაზოვა ევგენია ერვანდის ასული — საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის განყოფილების უფროსი.

თუმანიშვილი თენგიზ ვალერიანის ძე — საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან არსებული სასწავლებელთა სახელმწიფო ინსპექციის უფროსი.

თურქიაშვილი ელენე ივანეს ასული — საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ინსპექტორი.

კუჭავა ნოდარ მიხეილის ძე — თბილისის № 18 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი.

მერკვილაძე რევაზ დავითის ძე — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველოს უფროსი.

მიქელაძე ილია სარქისის ძე — კაზრეთის № 25 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორის მოადგილე.

მოსიაშვილი მანია კიმოთეს ასული — საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის განყოფილების უფროსი.

ნაკაშიძე რევაზ მიხეილის ძე — ბათუმის № 76 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი.

ნაცვალაძე ირაკლი კარლოს ძე — საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის განყოფილების უფროსი.

სიმონიშვილი ნოდარ ალექსანდრეს ძე — ბათუმის № 1 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის სასწავლო ნაწილის გამგე.

სუხიტაშვილი სვეტლანა შალიკოს ასული — თბილისის № 23 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატი.

ტყეებუჩავა ლეონტი ტონტოს ძე — ტყვარჩელის № 22 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის საწარმოო სწავლების ოსტატი.

ურუშაძე რევაზ შალვას ძე — საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის სამმართველოს უფროსი.

ფირცხალავა იოსებ კონსტანტინეს ძე — სოხუმის № 58 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი.

ფოფხაძე ამბროსი კონსტანტინეს ძე — თბილისის № 31 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის უფროსი ოსტატი.

ფხალაძე ბონდო მიხეილის ძე — თბილისის № 6 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის უფროსი ოსტატი.

ღლონტი კირა ბიქტორის ასული — საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის მთავარი ბუღალტრის მოადგილე.

შაფათავა ლუდმილა ვლადიმერის ასული — თბილისის № 24 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მასწავლებელი.

ჩხენკელი ჯემალ ვასილის ძე — დასავლეთ საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების ზონალური სამმართველოს უფროსი.

ჭყონია ნიკოლოზ სერგოს ძე — საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის განყოფილების უფროსი.

ჯიშკარიანი გრიგოლ კირილეს ძე — ქუთაისის № 4 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 25 ივნისი.
№ 132—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

226 ამხ. მ. მ. აბასოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებსა და სახალხო განათლების ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საავტომობილო, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. მეხრალი მაგომედ ოღლი **აბასოვი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 19 ივნისი.
№ 125—XI

18121

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

227 ამხ. მ. ნ. ალელიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის ახალქალაქის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარე ამხ. მარკოზ ნიკოლოზის ძე **ალელიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 19 ივნისი.
№ 126—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

228 ამხ. ა. ა. გაბიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, ფორმირებისა და პროგნოზირების რესპუბლიკური ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი,

საქ. სსრ კ. მარქსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფესორი ანზორ ალექსანდრეს ძე **გაბიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 19 ივნისი.
№ 127—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

229 ამხ. კ. დ. კავსაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით თბილისის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი კახი დავითის ძე **კავსაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 19 ივნისი.
№ 128—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

230 ამხ. ა. კ. კელენჯერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მასობრივი ინფორმაციის ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ოთხმოცდაათ წელთან დაკავშირებით საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სატელევიზიო ფილმების შემოქმედებითი გაერთიანების საფონდო ჩანაწერთა განყოფილების გამგე ამხ. ანტონ კირილეს ძე **კელენჯერიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 19 ივნისი.
№ 129—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

231 ამხ. ზ. პ. ლეჟავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი პედაგოგიური და შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით თბილისის სამხატვრო აკადემიის კათედრის გამგე, საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი ზურაბ პლატონის ძე **ლეჟავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 19 ივნისი.
№ 130—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

232 ამხ. ა. ვ. მჟავანაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მახარაძის სარაიონთაშორისო განყოფილების გამგე ამხ. აკაკი ვასილის ძე **მჟავანაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 19 ივნისი.
№ 131—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

233 ამხ. ა. ნ. სლოვინსკის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა სცენოგრაფიის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით თბილისის კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მთავარი მხატვარი, საქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოს სსრ დამსახურებული მხატვარი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე **სლოვინსკი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი

თბილისი. 1985 წლის 19 ივნისი.
№ 132—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

234 ამხ. ჯ. შ. ბლიაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებსა და სახალხო განათლების სისტემაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის გორის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ჯემალ შალვას ძე **ბლიაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 24 ივნისი.
№ 139—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

235 ამხ. გ. ს. გიორგაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის სამმართველოს უფროსი ამხ. გაიოზ სტეფანეს ძე **გიორგაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 24 ივნისი.
№ 140—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

236 ამხ. მ. ჭ. დუმბაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, სამეცნიერო კადრების მომზადებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე ამხ. მამია ქიშვარდის ძე **დუმბაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 24 ივნისი.
№ 141—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

237 ამხ. ს. ე. თურნავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ლიტერატურული კავშირის განვითარებისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ამხ. სერგი ერისტოს ძე **თურნავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 24 ივნისი.
№ 142—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

238 ამხ. ს. ი. ჟღენტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა კინოხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით კინოდრამატურგი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე სულიკო ილიას ძე **ჟღენტი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 24 ივნისი.
№ 143—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

239 ამხ. ი. დ. ფანცხავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით რესპუბლიკური გაერთიანება „საქსათბურის“ თავმჯდომარე ამხ. იოსებ დავითის ძე **ფანცხავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ბილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 24 ივნისი.
№ 144—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

240 ამხ. მ. გ. ქვლივიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში წვლილისათვის და დაბადების სამოცწელთან დაკავშირებით პოეტი მიხეილ გიორგის ძე **ქვლი-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 24 ივნისი.
№ 145—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

241 ამხ. ნ. ი. ქარქაშაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისათვის კადრების მოსამზადებლად გაწეული ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რექტორი ამხ. ნაპოლეონ ირაკლის ძე **ქარქაშაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი, 1985 წლის 25 ივნისი.
№ 146—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

242 ამხ. რ. ი. ავალიანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგე ამხ. რევაზ იპოლიტეს ძე **ავალიანი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 26 ივნისი.
№ 149—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

243 **ამხ. ლ. გ. ჯავახიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით პერსონალური პენსიონერი ამხ. ლევან გაბრიელის ძე **ჯავახიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 26 ივნისი.
№ 150—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

244 **ამხ. თ. ვ. კუნჭულიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

პარტიულ ორგანოებსა და სამეცნიერო ორგანიზაციებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ლანჩხუთის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. თამაზ კასილის ძე **კუნჭულია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 28 ივნისი.
№ 163—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

245 **ამხ. ო. ს. ცანავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

რესპუბლიკის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ოთარ სპირიდონის ძე **ცანავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1985 წლის 28 ივნისი.
№ 162—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

1985 წლის 22 ივნისს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად თავის დადგენილებით დაამტკიცა ლოთობასთან ბრძოლის გასაძლიერებლად დასახულ ღონისძიებათა გეგმა.

* * *

27 ივნისს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. ინფორმაციით სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს შესახებ საქართველოს სსრ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად დმანისის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოებში ეკონომიკური და სოციალური განვითარების დაგეგმვის პრაქტიკისა და ეკონომიკური მუშაობის მდგომარეობის თაობაზე გამოვიდა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. კ. ნაბიევი.

აღინიშნა, რომ აღმასკომი რაიონის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ნაყოფიერ მუშაობას ეწევა რაიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსურობის უზრუნველსაყოფად, დაგეგმვისა და საუწყებათაშორისო-ტერიტორიული კოორდინაციის სრულყოფისათვის.

ეკონომიკური და სოციალური განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების შემუშავებას, როგორც წესი, წინ უძღვის ადგილებზე საქმის ვითარების ანალიზი საგეგმო ორგანოების, რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების, სახალხო მეურნეობის სპეციალისტების, მუდმივი კომისიების, დეპუტატების მონაწილეობით; ამასთან გაითვალისწინება ამომრჩეველთა განაწესები, შრომითი კოლექტივების აზრი და წინადადებები, სესიებზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები, მოსაზრებანი.

მიმდინარეობს მუშაობა მსხვილ სამრეწველო საწარმოთა ფილიალების ბაზაზე სამრეწველო წარმოების მოცულობის გასადიდებლად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადებითი შეფასება დაიმსახურა მუშაობამ, რომელიც რაიონში მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციისა და შრომის ორგანიზაციის და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის ახალ პროგრესულ ფორმებზე გადასვლისათვის.

სასოფლო საბჭოებში შემოღებულია სამეურნეო ანგარიშზე მყოფი რგოლების საქმიანობის ეკონომიკური ანალიზი, რომელიც ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარების პერსპექტივების განსაზღვრას. 374 რაიონული და სასოფლო საბჭოს დეპუტატი რაიონის საბჭოთა მეურნეობის სამეურნეო ანგარიშზე მყოფი რგოლების წევრია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონული საბჭოს აღმასკომს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების შესრულებისადმი დაწესებული აქვს მუდმივი კონტროლი. პრაქტიკაშია სოფლის ყრილობები, შრომითი კოლექტივების საერთო კრებები, რომლებზეც იხილავენ შრომისა და სახელმწიფო დისციპლინის, შრომითი რესურსების რაციონალურად გამოყენების, დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის, ყოველგვარი სახის დანაშაულთა აღმოფხვრის საკითხებს.

გათვალისწინებულია სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა და საბჭოების დეპუტატთა მიერ მეურნეობის მართვის საკითხების შესწავლა. რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანებაში შექმნილია სამეურნეო ანგარიშის სწავლების სკოლა საბჭოთა მეურნეობების დირექტორთა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელთათვის. სამეურნეო ანგარიშს ასწავლიან აგრეთვე რაიონის საშუალო სკოლების უფროსკლასელებს. თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებით პოპულარიზაცია ეწევა რაიონში მიმდინარე ეკონომიკური მუშაობის ძირითად დევიზს — „ხელფასს განსაზღვრავს მოსავალი“.

1984 წელს სამრეწველო პროდუქციის წარმოების გეგმა შესრულდა 106,7 პროცენტით, გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 1.085 ათასი მანეთის პროდუქცია.

ამაღლდა შრომის ნაყოფიერება, გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების საშუალო მოსავლიანობა, საზოგადოებრივი მეცხოველეობის პროდუქტიულობა.

მაგრამ, მიუხედავად სამეურნეო მექანიზმის სრულყოფაში მომხდარი ძვრებისა, კვლავ არასაკმარისად გამოიყენება საბჭოების უფლებები და უფლებამოსილება თავიანთი ტერიტორიის ეკონომიკური და სოციალური განვითარების უზრუნველყოფის საქმეში. რაიონული საბჭოს აღმასკომი ვერ იჩენს საჭირო სიმტკიცეს. რომ დამკვიდრდეს მიწათსარგებლობის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ბუნების დაცვის, მშენებლობის, შრომითი რესურსების გამოყენების, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, მოსახლეობის კომუნალური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხებში ზემდგომი დაქვემდებარების საწარმოთა გეგმების პროექტების მასთან შეთანხმების პრაქტიკა. არასაკმარისია დეპუტატთა ფორმირებების მონაწილეობა რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოების საკონტროლო საქმიანობის განხორციელებაში. არადამაკმაყოფილებელია სოფლის მოსახლეობის სამართლებრივი, სოციალური, კულტურული, სამედიცინო, საყოფაცხოვრებო, კომუნალური და სხვა სახის მომსახურების დონე.

საბჭოების დეპუტატები იშვიათად იყენებენ დეპუტატის მიერ შეკითხვის წესით საკითხის დაყენების უფლებას როგორც საბჭოებისადმი ანგარიშვალდებული ორგანოების ხელმძღვანელთა საქმიანობისადმი კონტროლის ეფექტიან ფორმას.

სასოფლო საბჭოები არასაკმარის მომთხოვნელობას იჩენენ თავიანთ ტერიტორიაზე განლაგებული მეურნეობებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელების მიმართ, იშვიათად ისმენენ მათს ანგარშებს, ინფორმაციებს გაწეული მუშაობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა დმანისი-რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოებს და მათს აღმასრულებელ კომიტეტებს.:

— სრულად განახორციელონ ადგილობრივი საბჭოების შესახებ კანონით მინიჭებული უფლებამოსილება და უზრუნველყონ საქვეუწყებო ტერიტორიათა ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსურობა, სამეურნეო მშენებლობაში საბჭოების როლის ამაღლება სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ვენერალური მდივნის ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებებსა და გამოსვლებში ჩამოყალიბებული დებულებებისა და მითითებების შესაბამისად;

— მთელი სამეურნეო-ორგანიზატორული, ორგანიზაციულ-მასობრივი და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა დაუქვემდებარონ მშრომელთა დარაზმვას XI ხუთწლედის სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის წარმატებით შესასრულებლად, სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეულად შეხვედრის უზრუნველყოფას;

— გააძლიერონ მუშაობა საუწყებათაშორისო კოორდინაციის, საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობის, მათ მიერ საგეგმო დავალებათა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისადმი კონტროლის სრულყოფისათვის სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად;

— უზრუნველყონ არსებულ საწარმოო სიმძლავრეთა სრული ათვისება; შრომითი, მატერიალური, საფინანსო და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება; მიაღწიონ გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის ამაღლებას;

— ფართოდ გამოიყენონ მინიჭებული უფლებამოსილება ზემდგომი ორგანოებისათვის წარდგენამდე ხუთწლიანი და წლიური გეგმების პროექტებისა და ამ გეგმების მიწათსარგებლობის, ბუნების დაცვის, მშენებლობის, შრომითი რესურსების გამოყენების, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული, საყოფაცხოვრებო და სხვა სახის მომსახურების საკითხების ნაწილში შეცვლის შესახებ წინადადებების განხილვაში;

— აამაღლონ გეგმების ეკონომიკური დასაბუთებულობა, უზრუნველყონ, რომ ისინი გამიზნული იყოს მაღალი საბოლოო შედეგების მისაღწევად, მიიღონ ყველა ზომა სასურსათო პროგრამის უცილობლივ შესასრულებლად, საწარმოთა დამხმარე მეურნეობების განსავითარებლად და მოქალაქეთა დამხმარე პირადი მეურნეობების ეფექტიანობის ასამაღლებლად, ადგილობრივი საშენი მასალების, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების შემდგომი გადიდების პროგრამების განსახორციელებლად, სრულყონ მშრომელთა მომსახურების სფერო და შრომისა და ყოფა-ცხოვრების ორგანიზაცია;

— უზრუნველყონ ეკონომიკური მუშაობის დონის მუდმივი ამაღლება, სოციალისტური შეჯიბრების უფრო ფართო განვითარება, შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმების — სამეურნეო ანგარიშის, კოლექტიური იჯა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის, სხვა ეკონომიკური ბერკეტების გამოყენება; ყოველნაირად მიაღწიონ სოფლების სოციალური გარდაქმნის საკითხებში საწარმოო-ეკონომიკურ კომბინატებთან სასოფლო საბჭოების ერთობლივი მოქმედების სრულყოფას;

— აამაღლონ სესიების როლი, გააქტიურონ მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფების, დეპუტატების საქმიანობა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების შემუშავებისათვის, მათი რეალიზაციის, მიმდინარეობისადმი კონტროლის განსახორციელებლად. უფრო სრულად გამოიყენონ დეპუტატების მიერ შეკითხვის წესით საკითხის დაყენების უფლება, როგორც საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და სამსახურების საქმიანობისადმი კონტროლის ფორმა.

*

* *

პრეზიდიუმის სხდომამ განიხილა აგრეთვე საკითხები: დიდ სამამულო ომში გამარჯვების 40 წლისთავის აღსანიშნავად ბრძოლისა და შრომის ფრონტის აქტიურ მონაწილეთათვის სსრ კავშირის ორდენებისა და საიუბილეო მედლის გადაცემის მიმდინარეობის შესახებ, სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების საბჭოთა მუშაობის კაბინეტების (დეპუტატთა ოთახების) რესპუბლიკური დათვალიერების ჩატარების თაობაზე და სხვ.